ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4411189

ნომერი: AR1666224

თარიღი : 07.03.2019

გაცემის თარიღი : 13.03.2019

გაცნობის თარიღი : 17.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 36;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან დავლაძე პ/ნ 01017003377
- კოსტავას ქ. 60 ბ.8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 7 მარტის AR1666224 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ. #36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: # 01.13.03.023.098) რესტორნის რეკონსტრუქციის (აივნის მიშენება) მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.03.023.098) საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია ვალდებულება შეზღუდვა-დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. აქედან გამომდინარე, თავდაპირველად საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აღნიშნული შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით.
ამასთან, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზი.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად მშენებლობის ნებართვა 3 სტადიანია, კერძოდ:
I სტადია – ქალაქთმშენებ-ლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება);
II სტადია – არქიტექ-ტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება);
III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა.
იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო ობიექტი არ ეხება მიწას, საჭიროა საკითხი დააყნოთ II - III სტადიაზე.

აქვე გაცნობებთ, მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გასავლელად აუცილებელ დოკუმენტს წარმოადგენს:

- საინფორმაციო დაფა – რომელიც განთავსებული უნდა იქნეს რეალურ გარემოში თვალსაჩინო ადგილას.

საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე. წარმოდგენილი ფოტომასალა არის ფოტომანიპულაციის შედეგი და დაფის განთავსების ვალდებულების შესრულება ვერ დგინდება.
საინფორმაციო დაფა – (განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), რეალურ გარემოში თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.

<u>საჭიროა საინფორმაციო დაფაზე მიუთითოთ განაცხადის განხილვის ვადები და შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები. საინფორმაციო დაფა არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საპროექტო ორგანიზაციის შესახებ.</u>
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 7 მარტის AR1666224 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.